

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლებისა და კულტურული ფასეულობების პრივატიზების აკრძალვას. ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები, მოუაროს და დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი, ხოლო მფლობელებს (ვინაიდან იგი არ არის მესაკუთრე) არ გააჩნია საკმარისი დაინტერესება და შესაბამისი სახსრები მოუაროს და სათანადოდ დაიცვას მის მფლობელობაში არსებული ძეგლი, ფაქტიურად საქართველოში არსებულ უამრავ ძეგლს დაზიანების, ხოლო ხშირ შემთხვევაში განადგურების საფრთხე შეექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

მოქმედი კანონით ფაქტიურად აკრძალულია პრივატიზება კულტურის სფეროში. წარმოდგენილი ცვლილებებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებითა და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობებით შესაძლებელია კულტურული ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, გარდა რელიგიური დანიშნულების ობიექტებისა და კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების პრივატიზება. იკრძალება მხოლოდ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივების, კინო-ფოტო-ფონო მასალების სახელმწიფო ფონდების, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივებისა და ფონდების, სამუზეუმო კოლექციებისა და ფონდების, რელიგიური დანიშნულების ობიექტების, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისა და ეროვნული მნიშვნელობის სახელ-მუზეუმების პრივატიზება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ თუ აქამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პრივატიზება იკრძალებოდა, მოცემული ცვლილების საშუალებით განხორციელებული პრივატიზების პროცესის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფო შემოსავლები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის არ ახდენს გაავლენას იმ პირთა ფინანსური შედეგებზე, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.